

## შეხვედულება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N 1/1/548 გადაწყვეტილებაზე

პროფ. დოქტ. ჰანს-იორგ ალბრეხტი

### 1. დასმული საკითხები:

როგორ გადაწყდებოდა გერმანული კონსტიტუციური სამართლით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე არსებული საკითხები?

არსებობს გარკვეული ეჭვები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტაციაში?

### 2. აღწერილობითი ნაწილი

უწინარეს ყოვლისა, განიხილება დავის საგანი, ხოლო, ამის შემდგომ კი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტაცია. შემდგომში განიხილება პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებები გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად. დაბოლოს, მსჯელობის საგანი იქნება, თუ როგორ წყვეტდნენ გერმანიის უმაღლესი ინსტანციის რეგიონალური სასამართლოები და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მოწმის ირიბი ჩვენების მიცემის საკითხს (ყურმოკრული გამონათქვამი), რათა საბოლოოდ შევეხოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტაციის საკითხს.

### 3. საქმის ფაქტობრივი გარემოებები (და გადაწყვეტილება)

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა საქმეზე 1/1/548 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 76-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 169-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობასა და საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან შესაბამისობაზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13, 76-ე და 169-ე მუხლები განიხილავენ „ირიბი“ მტკიცებულების საკითხს, რაც არსობრივად ნიშნავს მოწმეს (როგორც „ყურმოკრულის გამონათქვამი“). იმავდროულად, განიხილება ასევე მტკიცებულებათა სამხილების სახით მოპოვების საკითხი.

სსსსკ მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის ფორმულირებაა შემდეგი:

„ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას”

(„ბრალის დადგენა არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ბრალდებულის აღიარებით ჩვენებას; აუცილებელია მისი დადასტურება/გამყარება სხვა, დამატებითი მტკიცებულებებით. ბრალის დადგენა გამომდინარეობს სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოთქმული, თანმიმდევრული (არაწინააღმდეგობრივი) და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობიდან. მტკიცებულებათა ერთობლიობა არ უნდა ბადებდეს ბრალდებულის ბრალეულობის მიმართ არანაირ ეჭვს“).

სსსსკ 76 მუხლის მე-3 ნაწილი ფორმულირებულია შემდეგნაირად:

„სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა მტკიცებულებით“.

(„მოწმის ირიბი ჩვენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნას გამოყენებული ბრალის დასადგენად, თუ ეს ჩვენება დადასტურებული ან გამყარებულია რომელიმე სხვა მტკიცებულებით“).

2013 წლის 14 ივნისის რედაქციით კი სსსსკ 76-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება“.

(„მოწმის ირიბი ჩვენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნას გამოყენებული ბრალის დასადგენად, თუ ეს ჩვენება დადასტურებული ან გამყარებულია რომელიმე სხვა მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი მტკიცებულება“).

სსსსკ 169-ე მუხლის პირველი ნაწილი შემდეგნაირადაა ფორმულირებული:

„პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა“.

(„პირის ბრალეულად ცნობა ხდება წინასწარი გამოძიების დროს მოპოვებული მტკიცებულებების ერთობლიობის საფუძველზე. უნდა არსებობდეს დასაბუთებული ეჭვი, რომ ბრალდებულმა/განსასჯელმა მართლაც ჩაიდინა ის დანაშაული, რომელიც მას ბრალად ედება“).

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლი შეიცავს შემოწმების მასშტაბს, რომლის საფუძველზეც უნდა გაიზომოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოთ აღნიშნული დებულებების კონსტიტუციასთან შესაბამისობა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი ფორმულირებულია შემდეგნაირად:

„დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

(„ბრალდება და ბრალის დადგენა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ უტყუარ/დამაჯერებელ მტკიცებულებებს. ბრალის მიმართ ნებისმიერი ეჭვი, რომელიც ვერ გაქარწყლდება კანონით განსაზღვრული მტკიცებულებების მეშვეობით, უნდა განიმარტოს ბრალდებულის სასარგებლოდ“).

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არაფერს ამბობს საჩივრის გამოწვევ საქმის ძირითად ფაქტობრივ გარემოებებზე.

მომჩივანის ანტიკონსტიტუციურობის ვარაუდი, უწინარეს ყოვლისა, ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13, 76-ე და 169-ე მუხლები იმ შემთხვევაშიც განაპირობებს პირის ბრალდებასა და მსჯავრდებას, როდესაც მტკიცებულებები მოპოვებულია მხოლოდ მოწმეთა ირიბი ჩვენებით (ყურმოკრული) და როდესაც ამან შეიძლება ვერ განაპირობოს, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისი უტყუარი (ან დამაჯერებელი, სარწმუნო) მტკიცებულებებით ბრალდებისა ან ბრალის დადგენა. მოპასუხე მხარე, გამომდინარეობს რა იქიდან, რომ 2013 წლის რეფორმამ უნზრუნველჰყო ბრალის დადგენა არა მხოლოდ მოწმის ირიბი ჩვენების საფუძველზე, რის გამოც საკონსტიტუციო სამართალწარმოება უნდა შეწყვეტილიყო არასაკმარისი უფლებადაცვის მოთხოვნის გამო. მოპასუხე ასევე მიიჩნევს, რომ საჩივარი არსებითად არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, უწინარეს ყოვლისა, სწორედ კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტში ხედავს ძირითად პრინციპებს, რომლებიდანაც გამომდინარეობს ბრალდებულისა თუ განსასჯელის დაცვა და სისხლის სამართლის საპროცესო დებულებების შეფასების მასშტაბები. აქ, ერთის მხრივ, საუბარია „*in dubio pro reo*“ პრინციპზე, რომელიც აგვარიდებს ხოლმე გამამტყუნებელ განაჩენს გარკვეული ეჭვის არსებობის შემთხვევაში. ბრალის დასადგენად მხოლოდ უტყუარი, სარწმუნო მტკიცებულებების გამოყენების ვალდებულების მიზანია, მეორეს მხრივ, არასწორი თუ თვითნებური მსჯავრდებისაგან დაცვა. ეჭვი და უტყუარი მტკიცებულებების გამოყენების ვალდებულება კანონის უზენაესობის პრინციპის შემადგენელი ნაწილებია.

სამართლიანი სასამართლოსა და საპროცესო გარანტიების უფლებები კი მაქსიმალურად უზრუნველყოფს პირის სამართალწარმოების ობიექტად გადაქცევას. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გასცეს პასუხი შემდეგ კითხვებზე:

არის თუ არა სადავო ნორმების საფუძველზე შესაძლებელი, არაუტყუარ, არასარწმუნო მტკიცებულებებზე დაყრდნობით ბრალდების წამოყენება და მსჯავრდება?

არსებობს თუ არა მოწმის ირიბი ჩვენების გამოყენებით კონსტიტუციური უფლებების დარღვევის რისკი?

არსებობს თუ არა საფრთხე იმისა, რომ მსჯავრდება დაეფუძნება არასანდო, ყალბ ან საეჭვო მტკიცებულებებს?

სასამართლომ უნდა გადაამოწმოს, შეიცავს თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საკმარის განარტიას დანაშაულის (მხოლოდ) უტყუარი მტკიცებულებებით დასამტკიცებლად.

საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად უდევს ბრალდებასა თუ მსჯავრდებას, შეიძლება იყოს სადავო/საეჭვო. ამდენად, ნებისმიერი მტკიცებულება ყოველთვის და სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე წარმოადგენს მხარეთა მიერ შემოწმების საგანს. უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტი მოიცავს არა მხოლოდ საეჭვო მტკიცებულების დაუშვებლობის მითითებას - უნდა გამოირიცხოს ეჭვი მტკიცებულების გაყალბების ან არსებითი ნიშან-თვისებების დაკარგვის შესახებ, არამედ ასევე მოთხოვნას, რომ საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტისა თუ გარემოების დადასტურება მხოლოდ სანდო წყაროდან მიღებული და ჯეროვნად შემოწმებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდეს. ამ მხრივ საყურადღებოა სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, მტკიცებულება დაუშვებელია, „თუ იგი მოპოვებულია ამ კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ“. აღნიშნული ნორმა შეიცავს მტკიცებულებების აუთენტურობის შემოწმების მოთხოვნას (ვალდებულება). მისი მიზანია, გამოირიცხოს ყალბი, სახეშეცვლილი და, ამ მხრივ, არასანდო მტკიცებულებების გამოყენების შესაძლებლობა. ამავე კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი დამატებით ადგენს, რომ „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის

თვალსაზრისით“. კანონმდებელმა უნდა აღჭურვოს საქმის განმხილველი სასამართლო შესაბამისი სახელმძღვანელო ნორმებით, რომლებიც:

საქმის გადაწყვეტის პროცესში გამორიცხავს იმგვარ მტკიცებულებებს, რომლებიც თავისი ბუნებითა ან შინაარსით შეიძლება არ იყოს სანდო,

და, ამდენად, შესაძლებლობას მისცემს სასამართლოსა ან სისხლისსამართლებრივ დევნაზე პასუხისმგებელ ორგანოს, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, შინაგანი რწმენის საფუძველზე შეაფასოს მტკიცებულებათა სანდოობის ხარისხი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლმა განსაზღვრა ირიბი ჩვენების დეფინიცია და სანდოობა. 2013 წელს განხორციელებულმა რეფორმამ დაადგინა, რომ მოწმის ირიბი/ირიბი ჩვენების სანდოობა (ამოქმედება ან/და გამოყენება) დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა ეს ჩვენება გამყარებული სხვა, დამატებითი (პირდაპირი) მტკიცებულებებით.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის, ისევე როგორც მართლმსაჯულების განხორციელებისას, ზოგადად, სახელმწიფო შებოჭილი უნდა იყოს მკაფიოდ ფორმულირებული საკანონმდებლო ნორმებით, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს თვითნებობისა ან შეცდომის დაშვების საფრთხეს. სახელმწიფოს ხელთ არსებული მნიშვნელოვანი რესურსი, რომელიც დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებების გამოძიებისკენ არის მიმართული, არ უნდა იქნეს ბოროტად გამოყენებული. გონივრულმა, ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრულმა საკანონმდებლო ნორმებმა უნდა დააბალანსოს ბუნებრივი უპირატესობა, რომელიც შეიძლება ბრალდების მხარეს დაცვის მხარესთან შედარებით გააჩნდეს და შესაძლებლობა მისცეს ბრალდებულს, სრულყოფილად დაიცვას საკუთარი ინტერესები, რაც, თავის მხრივ, მართლმსაჯულების ინტერესებს ემსახურება. ასეთია კანონის უზენაესობის პატივისცემისა და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპების მოთხოვნა. თვითნებობისა და შეცდომის თავიდან აცილება ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს, ხელს უწყობს დანაშაულის სათანადოდ გამოძიებას, რეალური დამნაშავის გამოვლენასა და, შემდგომ, მის მსჯავრდებას. სისხლის სამართლის პროცესში დასაშვები უნდა იყოს ისეთი მტკიცებულება, რომლის სანდოობა, ზოგადად, არ იწვევს ეჭვს და, როგორც წესი, ინფორმაციის სანდო წყაროდ შეიძლება იქნეს მიჩნეული. ასე მაგალითად, ეჭვს არ იწვევს, რომ თვითმხილველი მოწმის ჩვენება, ამოღებული

ნივთმტკიცებულება, ექსპერტის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება ან სხვა მსგავსი სახის მტკიცებულება ინფორმაციის სანდო წყაროს განეკუთვნება. შესაბამისად, კანონი მათ ბრალის დასადასტურებლად ვარგის და, ამდენად, დასაშვებ საშუალებად მიიჩნევა, რაც, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ასეთი მტკიცებულებების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია, იმთავითვე, შემოწმების გარეშე, სარწმუნოდ ჩაითვლება. საყურადღებოა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ირიბ ჩვენებას ინფორმაციის სპეციფიკურ, სხვა მტკიცებულებებისაგან განსხვავებულ წყაროდ განიხილავს.

საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ ირიბი ჩვენება, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება, შესაძლოა პირდაპირ მიუთითებდეს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ან იყოს „დამხმარე“ ხასიათის, ადასტურებდეს საქმისთვის მნიშვნელოვან „გვერდით“ ფაქტს ან გარემოებას. კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ასეთი ჩვენების სათანადო შემოწმება. ამიტომ, კანონი მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს, თუ რა შემთხვევებშია დასაშვები ირიბი ჩვენების გამოყენება, მკაცრი და ზედმიწევნით ზუსტი უნდა იყოს მისი დასაშვებობის პირობები. რამდენადაც მაღალია ირიბი ჩვენების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობა ბრალის დადასტურების საკითხში, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება წესი, რომელიც ასეთი ჩვენების გამოყენებას შესაძლებელს ხდის. შესაბამისად, ბრალის წაყენება და გამამტყუნებელი განაჩენის მიღება შესაძლებელია მოხდეს მტკიცებულებათა იმგვარი ერთობლიობით, რომელიც არა მხოლოდ მოიცავდეს ირიბ ჩვენებას, არამედ არსებითად ემყარება მას. ასევე, იქმნება შთაბეჭდილებაც და მოლოდინიც იმისა, რომ ირიბი ჩვენება, როგორც წესი, მისაღები, სანდო და ვარგისი მტკიცებულებაა, მსგავსად სხვა მტკიცებულებებისა, რომლებიც ბრალის დასადასტურებლად არის წარმოდგენილი.

საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ ისეთი ჩვენების დასაშვებად ცნობა, რომელიც ემყარება სხვა პირის მიერ გაკეთებულ განცხადებას ან გავრცელებულ ინფორმაციას, შეიცავს მრავალ რისკს. მათ შორის, რთულია იმის შეფასება, თუ რამდენად სანდო ან სარწმუნოა ასეთი ინფორმაცია, ვინაიდან სასამართლო შეზღუდულია შესაძლებლობაში, შეამოწმოს ინფორმაციის გამავრცელებელი პირის განწყობა, მისი დამოკიდებულება იმ მოვლენების მიმართ, რომლებიც სისხლისამართლებრივ საქმეს უკავშირდება. ასევე რთულია იმის განჭვრეტა, თუ როგორ ჩვენებას მისცემდა ეს პირი, ის რომ სასამართლოში გამოცხადებულიყო.

საკონსტიტუციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სადავო ნორმა ასევე არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ირიბი ჩვენება გამოყენებული იქნეს,

როდესაც ფაქტის თვითმხილველი მოწმე (ვის სიტყვებსაც ირიბი ჩვენება ეყრდნობა) შეიძლება იქნეს მოწვეული სასამართლოში ჩვენების მისაცემად ან უკვე აქვს მიცემული ასეთი ჩვენება. ასეთ შემთხვევებში საექვო და გაუგებარი ხდება ირიბი ჩვენების გამოყენების აუცილებლობა და მიზანი. ერთდროულად ირიბი ჩვენების მიმცემი პირისა და ინფორმაციის გამავრცელებელი პირის დაკითხვა, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება ობიექტური აუცილებლობით იყოს განპირობებული, თუმცა ასევე შესაძლებელია მტკიცებულებათა სიმრავლის მცდარი აღქმა შექმნას და შეცდომის დაშვების ალბათობა გაზარდოს.

საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებლობა არც იმას გამორიცხავს ერთმნიშვნელოვნად, რომ ბრალის წარდგენისა ან განაჩენის გამოტანისას გამოყენებული იქნეს ერთზე მეტი ირიბი ჩვენება, რომელიც ერთსა და იმავე ფაქტს „ირიბად“ ადასტურებს. ირიბ ჩვენებათა სიმრავლე თავისთავად არ უნდა განაპირობებდეს ამ ჩვენებების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის სანდოობას. ირიბი ჩვენების სხვა მტკიცებულებით დადასტურებით არ იცვლება ამ მტკიცებულების ბუნება, იცვლება მხოლოდ ამ სახის მტკიცებულებით დარწმუნების შესაძლებლობის ხარისხი. გაუმართლებელია ირიბი ჩვენების ავტომატურად დაშვება და მისი გამოყენება, განურჩევლად იმისა, თუ რა პირობებში, რა ფორმითა და საშუალებით გახდა ცნობილი ირიბი ჩვენების მიმცემი პირისთვის აღნიშნული ინფორმაცია. კანონი ასევე უნდა გამორიცხავდეს ორმაგი ირიბი ჩვენების დაშვების შესაძლებლობას. ირიბი ჩვენების მიმცემი პირის მიერ ინფორმაციის წყაროს მითითება, თავისთავად, არ გამორიცხავს იმის თეორიულ შესაძლებლობას, რომ პირი, ვის ინფორმაციასაც ირიბი ჩვენება ეფუძნება, ასევე არ იყოს იმ ფაქტის თვითმხილველი, რომლის დადასტურებასაც ირიბი ჩვენება ისახავს მიზნად.

საკონსტიტუციო სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ ამ საფრთხეების მიუხედავად, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ნორმები შესაძლებელს ხდის, რომ სასამართლოს, მათ შორის, ნაფიც მსაჯულებს შინაგანი რწმენა, პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით ირიბი ჩვენების (ჩვენებები) შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩამოუყალიბდეთ. ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ირიბი ჩვენების დასაშვებად ცნობისთვის, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის გარდა, რაიმე სხვა წინაპირობა უნდა იქნეს დაკმაყოფილებული, არაფერი გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ პირის ბრალეულობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ირიბ ჩვენებას სხვა მტკიცებულებების მსგავსად დაეყრდნოს.

საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს, გამონაკლის შემთხვევებში, ირიბი ჩვენების გამოყენების მართლზომიერებას. ასეთი გამონაკლისის დაშვება შესაძლოა გამართლებული იყოს, თუ არსებობს ობიექტური მიზეზი, რის გამოც შეუძლებელია იმ პირის დაკითხვა, რომლის სიტყვებსაც ემყარება ირიბი ჩვენება და, როდესაც ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად, სასამართლომ, შესაძლებელია, განიხილოს ირიბი ჩვენების დაშვების შესაძლებლობა, როდესაც მოწმე ან დაზარალებული დაშინებულია ან არსებობს მისი, როგორც მოწმის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა. ბრლადებულის კანონსაწინააღმდეგო ქმედებამ - მოწმის დაშინებამ არ უნდა შეაფერხოს მართლმსაჯულების განხორციელება და სწორედ ამიტომ, გამონაკლის შემთხვევებში, სასამართლო უფლებამოსილი უნდა იყოს, შეაფასოს ირიბი ჩვენების დასაშვებობისა და მისი გამოყენების აუცილებლობა. აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას სხვა შემთხვევაშიც, როდესაც ინფორმაციის ავტორი თავად ვერ ახერხებს ან არ სურს ჩვენების მიცემა და ამისთვის მნიშვნელოვანი მიზეზი არსებობს. ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ირიბი ჩვენების ზოგად დასაშვებობას, მისი გამოყენება შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, ამის აუცილებლობა არ არსებობს.

საკონსტიტუციო სასამართლო ასევე აცხადებს, რომ ირიბი ჩვენების დასაშვებად ცნობისა და მისი გამოყენების საკითხის გადაწყვეტა მკაფიოდ ფორმულირებული მარეგულირებელი ნორმებისა და სათანადო პროცესუალური გარანტიების პირობებში უნდა მოხდეს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეაფასოს გარემოებები, რომლებიც ირიბი ჩვენების წარდგენის გასამართლებლად არის დასახელებული სისხლისსამართლებრივ დევნაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიერ.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ მაგალითების დასახელება, *a priori*, არ გულისხმობს მათ კონსტიტუციურობას, თვითთავი საგამონაკლისო შემთხვევის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის შეფასება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზნებისა და ამ მიზნების მისაღწევად გამოყენებული საშუალებების კონტექსტში უნდა მოხდეს. თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ მსგავსი საგამონაკლისო პირობების კონსტიტუციასთან შესაბამისობის პრეზუმფციას, ეს, თავისთავად, ვერ უზრუნველყოფს სადავო ნორმით დადგენილი ზოგადი წესის კონსტიტუციურობას, რომელიც ირიბი ჩვენების დასაშვებობას ნებისმიერი გამონაკლისის გარეშე უშვებს.

საკონსტიტუციო სასამართლო იშველიებს ირიბი ჩვენების გამოყენების პრაქტიკული მაგალითების წარმოსაჩენად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მრავალწლიან პრაქტიკას. როგორც წესი, ირიბი ჩვენება გამოიყენება იმ შემთხვევაში,



როდესაც მოწმე (ინფორმაციის პირველწყარო) გარკვეული მიზეზით თავად ვერ ან არ ცხადდება სასამართლოში და ეს მიზეზი სასამართლოსთვის ცნობილია. საყურადღებოა, რომ ამ მხრივ სტრასბურგის სასამართლომ შემდეგი მინიმალური სტანდარტი ჩამოაყალიბა. იმისთვის, რომ ირიბი ჩვენების გამოყენებამ არ გამოიწვიოს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, შემდეგი ორი პირობა უნდა იქნეს დაცული: უნდა არსებობდეს მოწმის სასამართლოში გამოუცხადებლობის მნიშვნელოვანი მიზეზი ან/და ირიბი ჩვენება არ უნდა წარმოადგენდეს განაჩენის არსებით ან ერთადერთ საფუძველს.

საკონსტიტუციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტი თამაშობს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს სისხლის სამართლის პროცესში. იგი უზრუნველყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვას, არსებითად ამცირებს უსამართლო და დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენის საფრთხეს, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ხელს უწყობს შეცდომის დაშვების საფრთხის თავიდან აცილებას. მსჯავრდების შემთხვევაში შეზღუდვას ექვემდებარება პირის თავისუფლება, ასევე ხდება მისი პიროვნების სტიგმატიზაცია. ბრალდებულს არ უნდა შეერაცხოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თვითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში.

საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აწესრიგებს მოწმის ჩვენებას, როგორც მტკიცებულებასა და, ძირითადად, უშვებს ირიბ ჩვენებას, როგორც ვარგის მტკიცებულებას. თუმცა კანონმდებლობა არ შეიცავს არანაირ ჩანაწერს, თუ რა დატვირთვა უნდა ჰქონდეს ირიბ მტკიცებულებას. ამდენად, გამორიცხული არაა, რომ ირიბი ჩვენება არ შეესაბამებოდეს სინამდვილეს. ამას გარდა, საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს, რომ სადავო ნორმებმა შეიძლება განაპირობონ მტკიცებულებათა შეცდომით შეფასება და იყოს საფრთხე ობიექტური და სამართლიანი სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისათვის. მაღალია იმის ალბათობა, რომ ირიბმა ჩვენებამ იქონიოს მნიშვნელოვანი ზეგავლენა სამართალწარმოების შედეგზე. სადავო ნორმები კი არ წარმოადგენს მტკიცებულებათა შეცდომით შეფასების პრევენციის გარანტიას. ზოგადად, ირიბი ჩვენება არის ნაკლებად სანდო მტკიცებულება, ხოლო მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალის არასწორი აღქმის საფრთხეს. ამდენად, მისი გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ და მხოლოდ უკიდურეს საგამონაკლისო შემთხვევებში, კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობებისა და კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველსაყოფად.

ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ანტიკონსტიტუციურად და საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან შეუსაბამოდ მიიჩნია

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი და 169-ე მუხლის პირველი ნაწილი. იმავდროულად სასამართლომ შეწყვიტა კონსტიტუციური სამართალწარმოება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის საკითხში.

#### **4. მტკიცებულების საკითხი გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით**

მტკიცებულების განხილვა ხორციელდება გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მრავალი დებულების მიხედვით, რომლებიც რადიკალურად განსხვავდებიან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მომწესრიგებელი ნორმებისაგან.

##### *მკაცრი მტკიცებულება*

უწინარეს ყოვლისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს (მაგალითად, სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან განსხვავებით) ბრალის (ან უდანაშაულობა) საკითხის მხოლოდ და მხოლოდ მკაცრი მტკიცებულებების საფუძველზე დადგენის აუცილებლობას. ეს ნიშნავს, რომ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მტკიცებულებების შეგროვება შესაძლებელია მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აღწერილი მტკიცებულებების სახით: მოწმეთა მტკიცებულებები, ექსპერტების მტკიცებულებები, დოკუმენტური მტკიცებულებები, შემთხვევის ადგილის დათვალიერება. საამისოდ სახეზეა ფორმის დებულებები, რომელთა გათვალისწინებაც პრინციპულად მნიშვნელოვანია.

##### *პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებები*

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ განასხვავებს პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებებს შორის. ირიბი ჩვენების მიმცემი მოწმეც (ყურმოკრული) მიიჩნევა პირდაპირ მტკიცებულებად, რამეთუ ეს მოწმე, როგორც წესი, ჰყვება სხვა პირთან საუბრის შინაარსსა და იძლევა (პირდაპირი) ჩვენებას, თუ რაზე ესაუბრა ამ პირსა და რა განუცხადა მას ამ უკანასკნელმა.

##### *უმუალობის პრინციპი*

უმუალობის პრინციპი განსაზღვრავს, რომ მტკიცებულების მოპოვება უნდა მოხდეს პრინციპულად მთავრ სხდომაზე. ამგვარად, სუროგატი დაუშვებელია (მაგალითად, მოწმის დაკითხვის ოქმის წაკითხვა მოწმის დაკითხვის ნაცვლად). თუმცა კანონი ითვალისწინებს ამ პრინციპიდან გარკვეულ საგამონაკლისო ნორმებს. მაგალითად, მოსამართლის მიერ მოწმის დაკითხვის ოქმის წაკითხვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწმესთან დაკავშირება შეუძლებელია. მოწმესთან დაკავშირების შეუძლებლობის გარდა (ავადმყოფობის,

გარდაცვალებისა თუ სხვა მიზეზის გამო) უშუალოდ პრინციპის დასარღვევად გამოდგება, მაგალითად, მოწმეთა დაცვის მოსაზრება. აქ, უწინარეს ყოვლისა, საუბარია

მგრძობიარე მსხვერპლსა თუ მოწმეზე (განსაკუთრებით, ბავშვებზე, როგორც ძალადობის მსხვერპლზე)

საფრთხის ქვეშ მყოფ მოწმეებზე (მოწმეები, რომლებიც ჩვენების მიცემით უდიდესი საფრთხის ქვეშ აყენებენ საკუთარ თავს მომეტებული შურისძიების გამო ორგანიზებული დასაშაულისა თუ ტერორიზმის საქმეებზე)

პოლიციის ნდობით აღჭურვილი პირები ან ფარული აგენტი-გამომძიებლები, რომელთა სახელ-გვარებიც გასაიდუმლოებულია ან რომელთაც არ აქვთ ჩვენების მიცემის უფლება.

აქ უპირანი შეიძლება იყოს, ე. წ. სუროგატების გამოყენება (დაკითხვის ოქმი, დაკითხვის ვიდეოჩანაწერი) ან კიდევ ირიბი ჩვენების მიმცემი მოწმის დაკითხვა. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მგრძობიარე ან საფრთხის ქვეშ მყოფი მოწმეების დაცვის მთელ რიგ საშუალებებს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ძირითად მოწმეებთან კონფრონტაციისა (ქოლგის ქვეშ დაკითხვა, ასევე დაკითხვა ადვოკატის თანდასწრებით მთავარი სასამართლო სხდომის ფარგლებს გარეთ და ა.შ.). გერმანულ სამართალწარმოებაში უფრო რეალურ პრობლემას წარმოადგენს ნდობით აღჭურვილი პირებისა და ფარული აგენტების დაცვა, ვიდრე ირიბი მოწმეების დაცვა.

### *სამართლიანი სასამართლო და კონფრონტაციის უფლება*

მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანი სასამართლოს პრინციპი და კონფრონტაციის უფლება პირდაპირ და ექსპლიციტურად არაა მოწესრიგებული გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ამოსავალი წერტილია, განსაკუთრებით, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, სამართლიანობისა და კონფრონტაციის პრინციპები. სხვათა შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას გერმანიაში აქვს უბრალო ფედერალური კანონის სტატუსი. პრინციპში, სამართლიანი სამართალწარმოება და კონფრონტაციის უფლება გამორიცხავენ (უშუალოდ პრინციპის მსგავსად) „ირიბი“ მტკიცებულებების გამოყენების შესაძლებლობას. ამისდა მიუხედავად, აქაც მოქმედებს გარკვეული გამონაკლისი, რომლებიც მოწმეთა დაცვისა ან სისხლის სამართალწარმოების ეფექტურობის მოტივით დასაშვებად მიიჩნევენ კანონით განსაზღვრული საგამონაკლისო ნორმების გამოყენებას (მაგალითად, მოსამართლის მიერ დაკითხვის ოქმის წაკითხვა და ა.შ.).

### *მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოყენების ამკრძალავი ნორმები*

სისხლის გერმანული საპროცესო სამართალი განასხვავებს მტკიცებულებათა მოპოვებასა და გამოყენებას შორის, მათ შორის, მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოყენების ამკრძალავ დებულებებს შორის. ეს საკითხი მხოლოდ ნაწილობრივადაა მოწესრიგებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. მაგალითად, დაუშვებელია დაკითხვის აკრძალული მეთოდების (წამება) გამოყენება, რომელთა გამოყენების შემთხვევაშიც მოქმედებს მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენების აბსოლუტური აკრძალვის პრინციპი. მტკიცებულების (ან ინფორმაცია) მოპოვების წესზე ვრცელდება გარკვეული პრინციპები (მაგალითად, კანონიერი მოსამართლის პრინციპი), რომელთა დარღვევაც, მართალია, განაპირობებს მტკიცებულებათა მოპოვების კანონსაწინააღმდეგობას, თუმცა არა ავტომატურად მტკიცებულებათა გამოყენების აკრძალვას. ბუნებრივია, ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია თანაზომიერების პრინციპი, რომელიც განაპირობებს მტკიცებულებათა მოსაპოვებლად ბრალდებულის დასაცავად გასათვალისწინებელი რეგულაციების დარღვევას სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმწიფო ინტერესებში. მტკიცებულებათა აკრძალვის პრინციპი არ ვრცელდება ირიბი ჩვენების მიმცემ მოწმეზე. არც მტკიცებულების მოპოვებაა აკრძალული იმაზე, რაც სხვა პირმა განაცხადა საქმისათვის მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით და არც ამ ჩვენების გამოყენებაა აკრძალული სხვა რომელიმე პირის ჩვენებასთან დაკავშირებით. ეს კითხვა უფრო მეტად დაკავშირებულია ირიბი ჩვენების მიმცემი მოწმის სტატუსთან.

### *მტკიცებულებათა თავისუფლად შეფასების პრინციპი*

სასამართლო უნდა დარწმუნდეს ბრალდებულის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობაში სასამართლოს მთავარი სხდომის ერთობლიობის საფუძველზე. სასამართლო თავისუფალია მთავარ სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საკითხში. არ არსებობს სხვადასხვა მტკიცებულების შეფასებისა ან თანმიმდევრობის კანონისმიერი დებულებები. ამისდა მიუხედავად, სასამართლომ უნდა განიხილოს ყველა ის გარემოება, რომლებიც გადამწყვეტია მტკიცებულებათა შესაფასებლად (უტყუარობა, სარწმუნოება). ის გარემოებები, რომლებიც მეტყველებს მოწმეთა ჩვენებების უტყუარობასა თუ არაუტყუარობაზე, უნდა იქნას მოშველიებული სამოტივაციო ნაწილში. მსგავსი მსჯელობის არარასებობა სამოტივაციო ნაწილში განაპირობებს სასამართლოს შეცდომასა და, შესაბამისად, არის ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

### **5. როგორ შეამოწმებდა ამ შემთხვევაში გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო**

გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ და გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ შეიმუშავეს საკმაოდ მრავალწლიანი მდიდარი სასამართლო პრაქტიკა ირიბი ჩვენების საკითხზე. საფუძველი იყო (და არის),

როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, შესაძლებელია თუ არა (და რა მიზეზით) მთავარი სასამართლო სხდომის დროს მოწმის დაკითხვაზე უარის თქმა და მის ნაცვლად იმ სხვა მოწმის დაკითხვა, რომელიც მისცემს ჩვენებას უშუალო მოწმის ჩვენებაზე. ძირითადად, აქ საუბარია ფარული აგენტებისა და ნდობით აღჭურვილი პირების შემთხვევებზე, რომელთა იდენტურობაც არ მქდავანდება პოლიციისა თუ უშიშროების სამსახურების მიერ მათი შემდგომი გამოყენების გამო მიმდინარე და მომავალ საქმეებში მონაწილეობის გამო.

შემოწმების მასშტაბი ამ შემთხვევებში არის ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლება გერმანიის კონსტიტუციის მე-2 მუხლის პირველს პუნქტსა და მე-20 მუხლის მე-3 პუნქტთან ურთიერთკავშირში (სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი). ეს უფლება უზრუნველყოფს ბრალდებულისათვის, საპროცესო უფლებებისა და შესაძლებლობების აუცილებელ დარგობრივ ცოდნასთან ერთად, აღქმისა და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან პროცესის სხვა მონაწილეთა გონივრულად დაცვის უზრუნველყოფას (გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული 38, გვ. 105 და შემდგომი). სამართალიანი სამართალწარმოების პრინციპიდან გამომდინარეობს ბრალდებულის „მატერიალური მტკიცებულების“ მოთხოვნა, მაშასადამე, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის წყაროს ხელმისაწვდომობის მოთხოვნა (გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 08 ოქტომბრის განჩინება, 2 BvR 547/08, მინდვრის მე-9 სქოლიო). როგორც წესი, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო გამომდინარეობს იქიდან (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო), რომ ის ჩვენებები, რომლებიც მიცემულია სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაუკითხავი მოწმეებით (მათ შორის, ირიბი ჩვენებები), შეიძლება იქნას გამოყენებული მტკიცებულების სახით. თუმცა, როგორც წესი, ეს საკმარისი არაა მტკიცებულებათა შესაფასებლად და ბრალდებულის ბრალის მიმართ მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოსაყალიბებლად, თუ ეს მტკიცებულებები არაა გამყარებული სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოსათვის მნიშვნელოვანი არგუმენტაციითა და მტკიცებულებითი ნიშან-თვისებებით. მოსამართლეს ყოველთვის გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს შინაგანი რწმენის ფარგლები და ზუსტად გადმოსცეს ეს სამოტივაციო ნაწილში. მომეტებული მზრუნველობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია სახეზე გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, როდესაც ნდობით აღჭურვილი პირები ან ფარული აგენტები მხოლოდ იმიტომ არ შეიძლება იქნან დაკითხული მოწმის სახით სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვინაიდან კომპეტენტური ორგანო თავს იკავებს მათი ვინაობის გამხელისა და ჩვენების უფლების მიცემისაგან.

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ და გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ ჩამოაყალიბეს მუდმივი სასამართლო პრაქტიკა ირიბი ჩვენების საკითხზე (განსაკუთრებით, ირიბი მტკიცებულება). მართალია, ორივე სასამართლოს დასაშვებად მიაჩნია ირიბი მტკიცებულება, თუმცა მხოლოდ

მტკიცებულეთა შეფასების ფონზე, ირიბი ჩვენების განსაკუთრებული პრობლემების გონივრული გათვალისწინებით. იმაში დასარწმუნებლად, რომ განსასჯელმა ჩაიდინა დანაშაული (გონივრული ეჭვის გასაქარწყლებლად) საკმარისია ირიბი ჩვენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის გამყარებულია დამატებითი მტკიცებულებებით ან მტკიცებულებითი ნიშან-თვისებებით (სამხილი).

მტკიცებულებების კანონისმიერი აკრძალვა, რომელიც აჭიანურებს სასამართლოს ნებასა და უნარს, მიანიჭოს მტკიცებულებათა შეფასების პრინციპებს შესაბამისი დანიშნულება და გონივრულად გაითვალისწინოს ირიბი მტკიცებულების პრობლემა, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შეხედულებით, კონსტიტუციურად სისტემატურად წარმოდგენილი არ არის (გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 08 ოქტომბრის განჩინება, 2 BvR 547/08, მინდვრის მე-15 სქოლიო).

## **6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტაცია**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი არგუმენტაცია არსობრივად ემთხვევა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას. იმავდროულად განსხვავებულია ნორმატიული საკითხები (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და საქართველოს კონსტიტუციის, ერთის მხრივ, ხოლო გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და გერმანიის ძირითადი კანონისა, მეორეს მხრივ). ორივე საკონსტიტუციო სასამართლო გამომდინარეობს იქიდან, რომ

მოწმის ირიბი ჩვენება წარმოადგენს პრობლემურ მტკიცებულებას.

იმავდროულად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტაცია, უწინარეს ყოვლისა, კონცენტრირებულია პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებებს შორის არსებულ ხარისხობრივ განსხვავებაზე, რომელიც განპირობებულია კონსტიტუციური ფორმულირების „უტყუარი მტკიცებულებები“ სტანდარტით.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო კი ამ პრობლემას განიხილავს მტკიცებულებათა შეფასების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ფარგლებში, რომ „ირიბ მტკიცებულებას“, როგორც წესი, ენიჭება უფრო ნაკლები მნიშვნელობა, ვიდრე სხვა მტკიცებულებებს, რომელთა შეგროვებაც მოხდა სასამართლოს მთავა სხდომაზე და რომლებზეც პროკურატურამ და დაცვის მხარემ გამოთქვეს პოზიცია.

განსხვავებულია ის დასკვნები, რომლებიც კეთდება ირიბი ჩვენების უფრო დაბალი წონადობიდან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ითხოვს კანონისმიერ რეგულაციას, რომელმაც უნდა გამორიცხოს ირიბი ჩვენება, როგორც დასაშვები მტკიცებულება. საგამონაკლისო დებულებები კი ზუსტად უნდა მოაწესრიგოს

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო კი ამოდის, როგორც წესი, ირიბი მტკიცებულების დასაშვებობიდან, მოითხოვს რა მტკიცებულებათა შეფასებისას ირიბი მტკიცებულების გათვალისწინებას, რათა

1. დამატებითმა მტკიცებულებებმა (მათ შორის, სამხილები) გაამყარონ ირიბი ჩვენებები,
2. ირიბი მტკიცებულების შეფასება მოხდეს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, სავალდებულო არაა სასამართლოს მთავარ სხდომაზე ირიბი მტკიცებულებების შემოტანის კანონისმიერი აკრძალვა. ამგვარად, გასაგებია, რომ აბსტრაქტული კითხვა, კერძოდ: გამოყენებადია თუ არა ირიბი მტკიცებულებები? სხვაგვარად გადაწყდებოდა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია ირიბი ჩვენების მიმართ არანაირი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ეჭვი, რომელიც განაპირობებს კანონისმიერ აკრძალვას.

იმავდროულად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოში ბრალის საკითხს წყვეტს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. გერმანიაში კი საქმეს განიხილავენ და წყვეტენ პროფესიონალი მოსამართლეები. ამისდა მიუხედავად, ანგლო-საქსონური სამართლებრივი ოჯახის ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ხანგრძლივი ტრადიცია, ასევე ითვალისწინებენ ირიბი მტკიცებულებების დასაშვებობის (და დაშვება) შესაძლებლობას (ნაფიც მსაჯულთა მოსამართლის მიერ შესაბამისი გაფრთხილებისა და განმარტებების გაკეთების შემთხვევაში). ირიბი მტკიცებულებების დაშვების აკრძალვა უფრო უკეთ თავსებადია ნაფიც მსაჯულთა სისტემებთან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტაცია ეფუძნება შესაძლო საგამონაკლისო დებულებებს, რომლებიც უფრო ზუსტადაა მოსაწესრიგებელი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (მტკიცებულებათა სუროგაციისა და ირიბი მტკიცებულებების დაშვების შემთხვევაში). სასამართლო მსჯელობს იმ დებულებებზე, რომლებიც 80-იან წლებში მოწესრიგდა ბევრ ევროპულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. აქ საუბარია

მოწმეთა ანონიმურობისა და ანონიმიზაციის

მოწმეთა სასამართლოს მთავარი სხდომის გარეთ დაკითხვის (განსასჯელის არყოფნის პირობებში, მათ შორის, ვიდეოდაკითხვის სახით)

მოწმეთა ჩვენებების ვიდეომოსმენისა და ჩანაწერებისა თუ ოქმების გაცნობის დასაშვებობაზე.

ეს კანონმდებლობა განსაზღვრულია მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვის ინტერესებით, ნაწილობრივ (ორგანიზებული დანაშაული, ტერორიზმი) ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტურობის მოტივით.